

საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

2015 წლის საქმიანობის ანგარიში
(მოკლე ვერსია)

www.gncc.ge

ვრცელი ვერსია იხილეთ ვებგვერდზე www.gncc.ge

თავმჯდომარის მიმართვა

ქალბატონებო და ბატონებო,

2015 წელს ჩვენი ქვეყნის სატელეკომუნიკაციო სფერო ტექნოლოგიური განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა.

დასრულდა ფართომასშტაბიანი სახელმწიფო რეფორმა - საქართველოში ციფრული მაუწყებლობა დაინერგა. რეფორმის შედეგები შთამბეჭდავია მაუწყებლობის გავრცელების რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი პარამეტრების თვალსაზრისით. ახლადაგებული ინფრასტრუქტურის მეშვეობით მხოლოდ ეროვნულ დონეზე 45-მდე არხის მკვეთრად გაუმჯობესებული ხარისხით უფასოდ მიღება გახდა შესაძლებელი (რეფორმამდე ოთხი ეროვნული მაუწყებელი იყო), ვითარდება ადგილობრივი ციფრული ქსელებიც. ამავდროულად, ტელემაუწყებლობის განსახორციელებლად სავალდებულო ლიცენზირების რეჟიმი ავტორიზაციის მარტივი პროცედურით შეიცვალა. ყოველივე ზემოაღნიშნულმა ქვეყანაში მედიაპლურალიზმის შემდგომი განვითარების წინაპირობები შექმნა.

სატელეკომუნიკაციო კომპანიებმა დაანერგეს და მომხმარებელს შესთავაზეს მეოთხე თაობის (4G LTE) ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ფართოზოლოვანი მომსახურებები. შედეგების საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან: რამდენიმე თვის განმავლობაში მობილურ ქსელებში ინტერნეტის მოხმარება თითქმის 3-ჯერ გაიზარდა.

გაიხსნა ეროვნული ზედა დონის დომენი - .გე. ქართული ანბანის გამოყენებით ინტერნეტ-მისამართების დარეგისტრირება და მოხმარება გახდა შესაძლებელი. სიახლე საინტერესოა რამდენიმე კუთხით: გაიზრდება ქართულენოვანი ინტერნეტსივრცე, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები თანამემამულეები დაუბრკოლებლად ისარგებლებენ ქართული შემეცნებითი, გასართობი თუ სხვა ვებგვერდებით, ინტერნეტბანკინგით, წახალისდება კონკურენცია და, რაც მნიშვნელოვანია, ზედა დონის ეროვნულმა დომენმა ხელი უნდა შეუწყოს ქართული ენის, ქართული დამწერლობის თვითმყოფადობის შენარჩუნებას და განვითარებას ტექნოლოგიური გლობალიზაციის პირობებში.



თავმჯდომარის მიმართვა

2015 წელი თავად კომისიის და მისი აპარატისთვის განსაკუთრებული სხვა მხრივაც იყო - 1 ივლისს კომისიის საქმიანობის 15 წელი გასრულდა. 15 წლის მანძილზე კომისია ჩამოყალიბდა როგორც სახელმწიფო ინსტიტუცია. ამ ხნის განავლობაში მის „ცხოვრებაში“ არაერთი სირთულე თუ პრობლემა წარმოქმნილა, შეცდომებიც მრავლად იყო, თუმცა ფაქტია, რომ საკომუნიკაციო სფერო დღეს არსებულ დონეს ეფექტური რეგულირების გარეშე ვერ მიაღწევდა. ალბათ ამიტომაც, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოდაა აღიარებული, რასაც ადასტურებს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU), ევროკომისიის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და „პრაისუოთერსჰაუსკუპერსის“ (PWC) მიერ ჩატარებული და გამოქვეყნებული კვლევები.

საანგარიშო წელი ნიშანდობლივი სხვა გარემოებათა გამოც იყო, მაგრამ წინათქმის დასასრულს მხოლოდ შემდეგ ფაქტზე გავამახვილებ ყურადღებას: **2015 წელს სატელეკომუნიკაციო კომპანიებმა სხვადასხვა გადასახადების სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ჯამურად 509,805,000 ლარი შეიტანეს.**

წარმოგიდგენთ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის საქმიანობის ანგარიშს.

პატივისცემით,
ვახტანგ აბაშიძე

ცვლილებები კომისიის შემადგენლობაში

2015 წლის 18 მარტს კომისიის 3 ახალი წევრი შეუდგა უფლებამოსილების შესრულებას. კომისიის წევრების ვაკანტურ თანამდებობებზე საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა 3 კონკურსი გამოაცხადა. საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით პრეზიდენტმა თითოეულ ვაკანტურ თანამდებობაზე საქართველოს პარლამენტს სამ-სამი კანდიდატი წარუდგინა, რის შედეგადაც 19 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა 3 ახალი წევრი - ელისო ასანიძე, გიორგი ფრუიძე და მერაბ ქათამაძე 6 წლის ვადით აირჩია.

კომისიის საქმიანობის ამსახველი სტატისტიკური მაჩვენებლები

ჩატარებული სხდომები	143 სხდომა
მიღებული დადგენილებები	9 დადგენილება
მიღებული გადაწყვეტილებები	826 გადაწყვეტილება
შემოსული კორესპონდენცია	11,511 კორესპონდენცია
საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა	171 წერილი
პასუხგაცემული წერილები	159 წერილი
წერილები წარმოებაში	12 წერილი
განხილული დავები	15 დავა
გამოყენებული სანქციები	94 სანქცია
მაუწყებლების მიმართ	31 სანქცია
„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებული პირების მიმართ	63 სანქცია
სასამართლო დავები კომისიის მონაწილეობით	29 დავა
მაუწყებლებთან	8 დავა
„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებულ პირებთან	19 დავა
სხვა პირებთან	2 დავა
ინფორმაციის კომერციულ სადუმლოებად ცნობა	2 მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილება / 1 მოთხოვნაზე უარი
ავტორიზაცია	
ავტორიზაცია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად	65 პირი
ავტორიზაცია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად	100 პირი

კომისიის საქმიანობის ამსახველი სტატისტიკური მაჩვენებლები

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზაციის გაუქმება	14 პირი
„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზაციის გაუქმება	28 პირი
მაუწყებლობის ავტორიზაციის მოდიფიცირება	4 პირი
ლიცენზირება	
რადიომაუწყებლობის ლიცენზიების გაცემა	5 ლიცენზია
რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების გაცემა	1 ლიცენზია
რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების გაუქმება	1 ლიცენზია
მაუწყებლობის ლიცენზიების მოდიფიცირება	76 ლიცენზია
რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მოდიფიცირება	3 ლიცენზია
მაუწყებლობის ლიცენზიების მოქმედების ვადის გაგრძელება	8 ლიცენზია
ლიცენზიების გადაცემაზე თანხმობის გაცემა	6 ლიცენზია
ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვების გაცემა	50 ნებართვა
არავტორიზებადი საქმიანობისთვის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ნებართვების გაცემა	295 ნებართვა
წილის შეძენაზე თანხმობის გაცემა	13 თანხმობა
საოპერაციო აქტივის შეძენაზე თანხმობის გაცემა	8 თანხმობა / 2 უარი
კომპანიების შერწყმაზე თანხმობის გაცემა	1 თანხმობა

ციფრული მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობა

2015 წელს საქართველოში დასრულდა ფართომასშტაბიანი რეფორმა და ქვეყანა ანალოგურიდან ციფრულ მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობაზე გადავიდა.

აღნიშნულ პროცესში „საქართველოს ტელერადიოცენტრმა“ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი და მეორე არხის, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ციფრული მაუწყებლობის ფორმატში გასავრცელებლად ძირითადი ქსელის მშენებლობის სამუშაოები ჩაატარა. ამას გარდა, კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულმა კომპანია „სტერეო+“-მა ეროვნული დაფარვის კერძო ციფრული მაუწყებლობის ორმულტიპლექსიანი ძირითადი ქსელი ააგო.

საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებული „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად, კომისიამ 25 ადგილობრივ (რეგიონალურ) და თბილისის გეოგრაფიულ ზონაში ბაზირებულ 5 ტელემაუწყებელს, მათი სამაუწყებლო ლიცენზიებით გათვალისწინებული გავრცელების არეალის შესაბამისად, ადგილობრივი ციფრული მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობის ქსელის უზრუნველსაყოფად, რადიოსიხშირული სპექტრით უსასყიდლოდ სარგებლობის უფლება მიანიჭა.

2015 წლის მარტიდან ქვეყანაში ციფრული და ანალოგური მაუწყებლობის ქსელების პარალელურ რეჟიმში ფუნქციონირება დაიწყო. თბილისში 13 ივნისს მომხდარი

ციფრული მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობა

წყალდიდობის გამო, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ციფრულ მიწისზედა ტელემაუწყებლობაზე გადასვლის თარიღმა 17 ივნისის ნაცვლად 1 ივლისისთვის გადაიწია. ანალოგური სიგნალის გათიშვა 2015 წლის 1 ივლისიდან 25 აგვისტოს ჩათვლით ეტაპობრივად, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით განხორციელდა.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლით ანალოგური მაუწყებლობის ეროვნულ და რეგიონულ დონეზე გავრცელებასთან დაკავშირებული შეზღუდული რადიოსიხშირული რესურსის პრობლემა მოიხსნა. რეფორმის შედეგად ეროვნულ დონეზე სტანდარტული გარჩევადობის (SD) 45-მდე არხის უფასოდ მიღება შესაძლებელი (რეფორმამდე ოთხი ეროვნული მაუწყებელი იყო) და ამ მაჩვენებელს ადგილობრივ ტელემაუწყებელთა მფლობელობაში არსებული რადიოსიხშირული რესურსი ემატება. მომხმარებელმა მკვეთრად გაუმჯობესებული ხარისხის სიგნალი მიიღო. ამჟამად რამდენიმე ეროვნული მაუწყებელი მაღალი გარჩევადობის (HD) მაუწყებლობას ახორციელებს.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლის შესაბამისად, ტელემაუწყებლობის სფეროში გაუქმდა ლიცენზირების რეჟიმი და ტელემაუწყებლობა ავტორიზაციის მარტივ პროცედურას დაექვემდებარა. შედეგად, ტელემაუწყებლობის სფეროში საქმიანობის დაწყების ნებართვის მისაღებად ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური სისტემა დაინერგა. ყოველივე ზემოაღნიშნულმა ქვეყანაში მედიაპლურალიზმის განვითარება უზრუნველყო.



მეოთხე თაობის (4G LTE) მობილური ფართოზოლოვანი მომსახურებები

2015 წელს საქართველოში მეოთხე თაობის (4G LTE) მობილური ფართოზოლოვანი მომსახურებები დაინერგა.

რადიოსიხშირული სპექტრის ეფექტურად მართვისა და გამოყენების მიზნით, კომისიამ უზრუნველყო ევროკომისიის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებებისა და მიწისზედა სისტემებისათვის განკუთვნილი რადიოსიხშირული დიაპაზონების ეროვნულ დონეზე ჰარმონიზაცია. აღნიშნული პროცესის ფარგლებში, კომისიის გადაწყვეტილებით, 2015 წლის 29 იანვარს, ტექნოლოგიური და მომსახურების ნეიტრალიტეტის პრინციპის შესაბამისად, მოდიფიცირდა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებებისა და მიწისზედა სისტემებისათვის ჰარმონიზებულ 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში გაცემული „მაგთიკომის“, „ჯეოსელის“ და „მობიტელის“ ლიცენზიები.

1 თებერვლიდან მობილურმა კომპანიებმა აბონენტებს მეოთხე თაობის (4G LTE) ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მობილური ფართოზოლოვანი მომსახურებები შეთავაზეს. შედეგად მობილურ ქსელში ინტერნეტის მოხმარება დაახლოებით 3-ჯერ გაიზარდა.

მეოთხე თაობის (4G LTE) სერვისების დასაწერად მიღებული და მოდიფიცრებული ლიცენზიების საფასურად მობილური კომპანიების მიერ, ორი წლის განმავლობაში, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხა **339,026,691.83** ლარს შეადგენს.

სამართლებრივი ბაზის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა, როგორც ქვეყნის, ასევე კომისიის საქმიანობის (2015-2017 წლები) ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, კომუნიკაციების სფეროში მოქმედი სამართლებრივ აქტებში შესატანი ცვლილებების შესახებ დეტალური დასკვნის მოსამზადებლად, 2015 წელს კომისიაში 8 სამუშაო ჯგუფი შეიქმნა. ჯგუფები შემდეგ დირექტივებს, აქტებს თუ საკითხებს განიხილავენ:

- „ავტორიზაციის / შესახებ“ დირექტივა;
- „ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობის დაცვის დირექტივა“;
- „აუდიოვიზუალური მედიის მომსახურების დირექტივა“;
- „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების“ შესახებ კომისიის დადგენილების პროექტი;
- „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ მოქმედი რეგლამენტი;
- „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“

სამართლებრივი ბაზის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია

- პროგრამაში პროდუქტის/მომსახურების განთავსების (Product Placement) შესახებ სარეკომენდაციო წესები;
- „რადიოდანადგარებისა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალური დანადგარების სერტიფიცირებისა და სამომხმარებლო ბაზარზე დაშვების ტექნიკური რეგლამენტი“ („რადიო მოწყობილობების დირექტივაზე“ დაყრდნობით);
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ეკვივალენტური წვდომისა და შესაბამისი ტერმინალური მოწყობილობებით უზრუნველყოფის კუთხით ევროპულ ბაზარზე არსებული პრაქტიკა.

ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში საქართველოს დახმარების მიზნით, **2015 წელს** კომისიამ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) შეიმუშავეს სპეციალური პროექტი, რომლის ღირებულების დიდი ნაწილი - 90% სლოვაკეთის მთავრობის მიერ, ხოლო 10% კომისიის მიერ ფინანსდება. პროექტი მოიცავს შემდეგ საკითხებს: საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან, შემდგომი თაობის დაშვების (NGA) რეგულირება, მარეგულირებელი ორგანოს განვითარება.

მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის ტარიფების LRIC მოდელით გაანგარიშება

2015 წელს კომისიამ, მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის ტარიფების გაანგარიშების და დანახარჯების განცალკევებული აღრიცხვის თანამედროვე მეთოდოლოგიური წესების შემუშავების მომსახურებების შესყიდვის მიზნით, ტენდერი გამოაცხადა. ტენდერში დიდი ოთხეულის საკონსულტაციო კომპანია „Ernst & Young“-მა გაიმარჯვა. გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, „Ernst & Young“-მა 2016 წლის მაისამდე უნდა უზრუნველყოს შემდეგი სამუშაოს შესრულება:

- ევრო კომისიის №2009/396/EC რეკომენდაციით გათვალისწინებული მობილურ და ფიქსირებულ ქსელებში ზარის დასრულების გაანგარიშება მომავალზე ორიენტირებული, გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების LRIC მოდელის მიხედვით;
- მობილურ და ფიქსირებულ ქსელებში ზარის წამოწყების მომსახურების გაანგარიშების მოდელის შემუშავება;
- LRIC მოდელის გამოყენების მეთოდოლოგიური წესების შემუშავება;
- LRIC მოდელში შესაყვანი მონაცემების პარამეტრების შესაძლო ცვლილების საფუძველზე მგრძობირობის ანალიზის (Sensitivity Analysis) ფუნქციის მქონე ელექტრონული ცხრილის შემუშავება;

მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის ტარიფების LRIC მოდელით გაანგარიშება

- LRIC მოდელის გამოყენებასთან დაკავშირებით კომისიის თანამშრომლებისთვის ტრენინგის ჩატარება;
- მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ზარის წამოწყების და დასრულების ტარიფების გაანგარიშების მიზნით, კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება „WACC“-ის გაანგარიშება;
- დანახარჯების განცალკევებული აღრიცხვის მეთოდოლოგიური წესების შემუშავება;
- ტექნიკური და ეკონომიკური ექსპერტების მიერ საჯარო კონსულტაციებში მონაწილეობის მიღება.

რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის სადგურის მშენებლობა და რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის თანამედროვე ერთიანი სისტემის დანერგვა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე რადიოსიხშირული სპექტრის მართვა და მისი ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფა, ინოვაციური ელექტრონული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა და რადიოსიხშირული სპექტრის ოპტიმალური გადანაწილება.

2015 წელს, თელეთის ქედზე, შავნაბადას მიმდებარე ტერიტორიაზე, კომისიამ საფუძველი ჩაუყარა რადიომონიტორინგის სტაციონალური სადგურის და რადიომონიტორინგის სისტემის 60 მ. სიმაღლის ანძის მშენებლობას. სადგური ქალაქ თბილისში და მიმდებარე ტერიტორიებზე რადიომონიტორინგის ჩატარებისთვის იქნება განკუთვნილი.

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენების ინტენსივობის ზრდის და ასევე სატელეკომუნიკაციო საერთაშორისო კავშირის (ITU) მოთხოვების გათვალისწინებით, საქართველოს ტერიტორიაზე იქმნება რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის ერთიანი სისტემა. მონიტორინგი უნდა განხორციელდეს სხვადასხვა გეოგრაფიულ წერტილში არსებული რადიოსიხშირული

რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის სადგურის მშენებლობა და რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის თანამედროვე ერთიანი სისტემის დანერგვა

სპექტრის მონიტორინგის სპეციალური სტაციონარული სადგურების მეშვეობით, სადაც ინსტალირებული იქნება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის ინოვაციური სისტემები.

2015 წლის 7 ოქტომბერს, კომისიასა და საერთაშორისო ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ ამერიკულ კომპანია „**TCI International, Inc.**“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, „**TCI International, Inc.**“-ი რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის სისტემის (**GSMS**) მოწოდების, აღნიშნული სისტემის ინსტალაციის პროცესისა და ექსპლუატაციაში გაშვების ტექნიკურ ზედამხედველობას და ადგილობრივი პერსონალისათვის ტრენინგების ჩატარების ორგანიზებას უზრუნველყოფს. სამუშაოები 4 ეტაპად შესრულდება.

პროექტი მთლიანად კომისიის ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 1,492,515 აშშ დოლარს შეადგენს, თელეთის ქედზე რადიომონიტორინგის სადგურის და ანძის მშენებლობის ბიუჯეტი კი 224,627 ლარია.

ეროვნული ზედა დონის დომენი .გე

კომისიის ინიციატივა და ხელშეწყობით, მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის (ICANN) მიერ საქართველოს ეროვნული ზედა დონის დომენი .გე მოენიჭა. 2015 წელს დასრულდა წინამოსამზადებელი სამუშაოები .გე ზონაში ინტერნეტ-დომენური სახელების დასარეგისტრირებლად. .გე დომენის შემოღებით შესაძლებელი გახდა ინტერნეტ-დომენური სახელების მთლიანად ქართული მხედრული ანბანით დარეგისტრირება.

ამ ეტაპზე ინტერნეტ-დომენური სახელების გამოყენებისას, მსოფლიოს მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა ლათინურ დამწერლობასთან ერთად იყენებს სლავურ-კირილურ, არაბულ, ინდურ, ჩინურ და ებრაულ დამწერლობებს.

ქართულენოვანი ინტერნეტ-დომენური სახელების დამკვიდრებით გაიზარდა დომენების რესურსი და, შესაბამისად, ბაზარზე დომენის ალტერნატიული ვერსიის არჩევის საშუალება გაჩნდა. ამას გარდა, ზედა დონის ეროვნული დომენი ხელს შეუწყობს ინტერნეტ სივრცეში ქართული ენის გამოყენებას, ზოგადად ქართული ენის და დამწერლობის პოპულარიზაციას და განვითარებას.

ეროვნული ზედა დონის დომენის ადმინისტრატორი საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ცენტრი (ITDC) გახდა.

სპონსორზე მითითების სახელმძღვანელო რეკომენდაციები

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შესული ცვლილებების შესაბამისად, კომისიას დაევალა 2016 წლის 15 იანვრამდე, ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს აუდიო-ვიზუალური მედიის მომსახურების (AVMS) დირექტივის შესაბამისად და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, სპონსორზე მითითების სახელმძღვანელო რეკომენდაციების შემუშავება.

აღნიშნულის საფუძველზე, გაერთიანებულ სამეფოში, ირლანდიასა და გერმანიაში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, 2015 წელს კომისიამ შეიმუშავა სპონსორზე მითითების სახელმძღვანელო რეკომენდაციების შესახებ დადგენილების პროექტი და დაიწყო საჯარო განხილვები. პროექტში განსაზღვრულია სპონსორობის განთავსების წესები და საშუალებები, განხილულია კონკრეტულად რა ფორმით, რა ტიპის გადაცემებში არის დასაშვები სპონსორობა.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა

2015 წელს კომისიასთან მოქმედ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში სულ 263 საჩივარი შევიდა, აქედან 102 წერილობითი, ხოლო 161 - სატელეფონო საჩივარი. 9 საჩივარი მაუწყებლობის, ხოლო 254 ელექტრონული კომუნიკაციების სფეროს ეხებოდა.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა

თემატიკა	დაკმაყოფილდა	ნაწილობრივ დაკმაყოფილდა/ მიეცა განმარტება	დარღვევა არ დადასტურდა	ჯამი
ციფრული მაუწყებლობა	3	113	1	117
სატელეკომუნიკაციო მომსახურების საფასურის დარიცხვის სისწორე	7	7	10	24
უხარისხო სატელეკომუნიკაციო მომსახურება	7	10	5	22
სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიღების დაყოვნება/ დაუკმაყოფილებლობა	6	5	2	13
სატელეკომუნიკაციო ანმებისგან გამოწვეული რადიაცია	3	9	0	12
მედიის მავნე ზეგავლენა არასრულწლოვნებზე	7	4	0	11
სააბონენტო ნომრების გასხვისება	2	2	3	7
ინტერნეტ მომსახურებაზე ფასის ზრდა	1	6	0	7
მომხმარებლების არასათანადო ინფორმირება	1	1	3	5

მომხმარებელთა უფლებების დაცვა

თემატიკა	დაკმაყოფილდა	ნაწილობრივ დაკმაყოფილდა/ მიეცა განმარტება	დარღვევა არ დადასტურდა	ჯამი
სპამი	0	3	0	3
სატელეკომუნიკაციო მომსახურების პაკეტების ცვლილება პორტირება	2	0	0	2
სატელეკომუნიკაციო მომსახურების შეწყვეტა	1	0	0	1
სხვა	3	32	9	44
ჯამი	44	192	33	

*საჩივრების საერთო რაოდენობა და თემატიკის მიხედვით გადანაწილებული საჩივრების რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგან ზოგიერთი საჩივარი ერთდროულად რამდენიმე საკითხს ეხებოდა

საერთაშორისო თანამშრომლობა

2015 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების (EaPeReg) ქსელს თავმჯდომარეობდა.

ქსელის თავმჯდომარეობის ფარგლებში კომისიის ორგანიზებით EaPeReg ქსელის 2 პლენარული სესია ჩატარდა. პლენარულ სესიებზე საფუძველი ჩაეყარა შედარებითი ანალიზის (ბენჩმარკინგის), სიხშირული სპექტრის და საერთაშორისო როუმინგის საკითხებზე სამუშაო ჯგუფების შექმნას. ბენჩმარკინგის სამუშაო ჯგუფი დაეხმარება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს მათი და ევროკავშირის ქვეყნების ელექტრონული კომუნიკაციების სამართლებრივ ბაზებს შორის შეუსაბამობების დადგენაში. რაც შეეხება სიხშირული სპექტრის თემაზე მომუშავე ჯგუფს, იგი 700 მჰც სიხშირულ ზოლთან დაკავშირებით ევროპაში არსებულ ერთიან მიდგომებს ჩამოაყალიბებს. საერთაშორისო როუმინგის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში საერთაშორისო როუმინგული მომსახურების ერთიანი სივრცის შექმნასა და ევროპის ერთიან სივრცესთან ჰარმონიზაციის საკითხებზე მუშაობს.

კომისიის ორგანიზებით ჩატარდა, ასევე, 4 სამუშაო შეხვედრა/სემინარი შემდეგ საკითხებზე: ფართოზოლოვანი მომსახურება, ტარიფების რეგულირება, ქსელისა და ინფორმაციის უსაფრთხოება, მეოთხე თაობის ტექნოლოგიები და მომსახურებები. ქსელის თავმჯდომარის სტატუსით კომისიამ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ღონისძიებაში.

კომისიის მუშაობა მაღალ დონეზე შეაფასეს როგორც ქსელის წევრებმა, ასევე ევროკომისიის წარმომადგენლებმა.



საერთაშორისო თანამშრომლობა


- კომისია განაგრძობდა ინტენსიურ თანამშრომლობას: საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირთან (ITU); მაუწყებლობის მარეგულირებელი ორგანოების ევროპულ პლატფორმასთან (EPRA)
- კომისიის და ევროსაბჭოს ორგანიზებით თბილისში ინტერნეტ-მმართველობის ფორუმი სახელწოდებით „ადამიანის უფლებები ინტერნეტ სივრცეში“ გაიმართა
- კომისიის თანაორგანიზებით თბილისში ევროპის IP ქსელების საკოორდინაციო ცენტრის (RIPE NCC) რეგიონალური შეხვედრა და სემინარი ჩატარდა
- კომისიასა და გერმანიის ელექტროენერჯის, გაზის, ტელეკომუნიკაციების, ფოსტისა და რკინიგზის ფედერალურ სააგენტოს (Bundesnetzagentur) შორის თანამშრომლობის ფარგლებში, კომისიის ორგანიზებით 2 სამუშაო შეხვედრა შედგა, რომელიც რადიოსიხშირეთა მართვის, მათ შორის 700 მჰც ზოლის შემდგომი ჰარმონიზაციის თემას დაეთმო.

შენატანები სახელმწიფო ბიუჯეტში


- გადასახადების სახით გადახდილი თანხა - 328 მლნ ლარი
- ლიცენზიებისთვის გადახდილი თანხა - 182 მლნ ლარი
- სულ 510 მლნ ლარი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ტრანსპორტისა და ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში, მლნ აშშ დოლარი




ტრანსპორტისა და ელექტრონული კომუნიკაციების სექტორის წილი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში



რეგულირებას დაქვემდებარებული პირები

- სულ 410 რეგულირებას დაქვემდებარებული მოქმედი პირი



რეგულირებას დაქვემდებარებული პირები

სეგმენტი წლის განმავლობაში მიღებული
შემოსავალი

A 100 მლნ ლარზე მეტი ან ტოლი

B 10 მლნ ლარიდან 100 მლნ ლარამდე


C 1 მლნ ლარიდან 10 მლნ ლარამდე

D 100,000 ლარიდან 1 მლნ ლარამდე


E 100,000 ლარზე ნაკლები

რეგულირებას დაქვემდებარებული პირები

რეგულირებას დაქვემდებარებულ მოქმედ პირთა რაოდენობა სეგმენტების მიხედვით



შემოსავლის განაწილება რეგულირებას დაქვემდებარებულ მოქმედ პირთა სეგმენტების მიხედვით




რეგულირებას დაქვემდებარებული პირები


კომპანია	მლნ ლარი
A	931.1
1 მაგთიკომი	301.7
2 ჯეოსელი	220.8
3 სილქნეტი	177
4 მობიტელი	130.2
5 კავკასუს ონლაინი	101.4
B	171.8
6 ახალი ქსელები და მასთან აფილირებული პირები	75.4
7 სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2	38
8 ტელეიმედი	25.1
9 დელტა-ნეტი და მასთან აფილირებული პირები	17
10 გლობალ ერთი	16.3

მობილური საკომუნიკაციო მომსახურება

აბონენტების რაოდენობა (მლნ)




სააბონენტო სიმკვრივე




მობილური საკომუნიკაციო მომსახურება

საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)




ბაზრის წილები აბონენტების რაოდენობის მიხედვით




მობილური საკომუნიკაციო მომსახურება

მობილური ინტერნეტით
გენერირებული ტრაფიკი (ტერაბაიტი)




ინტერნეტის მომხმარებლის მიერ
გენერირებული საშუალო ტრაფიკი
თვეში (მბ)




მობილური ხმოვანი მომსახურება

გამავალი ტრაფიკი (მლრდ წთ)




აბონენტის მიერ ნასაუბრები წუთების საშუალო რაოდენობა თვეში




ფიქსირებული ინტერნეტით მომსახურება

ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურება : აბონენტების რაოდენობა (ათასი)




სააბონენტო სიმკვრივე




ფიქსირებული ინტერნეტით მომსახურება

საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)




აბონენტების რაოდენობის განაწილება ტექნოლოგიების მიხედვით




ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება

აბონენტების რაოდენობა (ათასი)




სააბონენტო სიმკვრივე




ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება

საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)




წუთების რაოდენობა (მლნ)




მაუწყებლობა

მოქმედი მაწყებლების რაოდენობა



● ტელევიზია	32	39	46	52	61	63
● რადიო	26	28	30	35	32	34


მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავალი (მლნ ლარი)




● ტელევიზია	70.6	79.8	82.6	74.9	94.6	85.1
● რადიო	8.1	9.8	9.6	9.4	9.6	13.2

მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურება

მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურება: აბონენტების რაოდენობა (ათასი)




სააბონენტო სიმკვრივე





მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურება

საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)



აბონენტების რაოდენობის განაწილება ტექნოლოგიების მიხედვით





www.gncc.ge

გმადლობთ ყურადღებისთვის!



www.gncc.ge

დამატებითი სლაიდები

რადიოაპარატურის იმპორტი

- 2015 წელს რადიოაპარატურის იმპორტის ჯამური ღირებულება - 147.7 მლნ აშშ დოლარი
- ფიჭური ან სხვა უსადენო ქსელებისთვის იმპორტირებული სატელეფონო აპარატების იმპორტი - 95.2 მლნ აშშ დოლარი (იმპორტის 64.5%)
- სულ იმპორტირებული 1,767,712 რადიომოწყობილობა
- ფიჭური ან სხვა უსადენო ქსელებისთვის იმპორტირებული სატელეფონო აპარატები - სულ 1,196,717 (68%)